ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N24

2023 წლის 29 მარტი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

I თავი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1. ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	**22 397,8**	**11 096,9**	**11 300,9**	**22 385,5**	**11 103,8**	**11 281,7**
გადასახადები	10160,6	10160,6		10 241,4	10 241,4	-
გრანტები	11300,9		11300,9	11 281,7	-	11 281,7
სხვა შემოსავლები	936,4	936,4		862,4	862,4	
II. ხარჯები	**10842,6**	**10388,3**	**454,2**	**10 627,7**	**10 178,9**	**448,7**
შრომის ანაზღაურება	2538,6	2468,8	69,8	2 529,1	2 459,3	69,8
საქონელი და მომსახურება	2386,4	2073,1	313,2	2 253,4	1 945,1	308,3
პროცენტი	53,4	53,4	-	53,4	53,4	-
სუბსიდიები	4747,3	4676,1	71,2	4 707,5	4 636,8	70,7
გრანტები	-	-	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	658,3	658,3		641,5	641,5	-
სხვა ხარჯები	458,5	458,5		442,9	442,9	-
III. საოპერაციო სალდო	**11555,3**	**708,6**	**10846,7**	**11 757,9**	**924,9**	**10 833,0**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**12912,7**	**1387,4**	**11525,3**	**12 544,2**	**1 358,0**	**11 186,2**
ზრდა	13372,7	1847,4	11525,3	12 959,3	1 773,2	11 186,2
კლება	460,0	460,0		415,2	415,2	-
V. მთლიანი სალდო	**-1357,4**	**-678,8**	**-678,6**	**- 786,3**	**- 433,2**	**- 353,2**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**-1465,2**	**-786,6**	**-678,6**	**1 105,9**	**1 459,1**	**- 353,2**
ზრდა	-	-	-	1 459,1	1 459,1	-
ვალუტა და დეპოზიტები	-			1 105,9	1 459,1	-
კლება	1465,2	786,6	678,6	353,2		353,2
ვალუტა და დეპოზიტები	1465,2	786,6	678,6	353,2		353,2
VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 107,8**	**- 107,8**	**-**	**1 892,2**	**1 892,2**	**-**
ზრდა				**2 000,0**	2 000,0	-
საშინაო				2 000,0	2 000,0	-
სესხები				2 000,0	2 000,0	
კლება	**107,8**	**107,8**	**-**	**107,8**	**107,8**	**-**
საშინაო	107,8	107,8	-	107,8	107,8	-
სესხები	107,8	107,8	-	107,8	107,8	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები						
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**	**-**	**0.0**	**0.0**	**-**

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	**22857,8**	**11556,9**	**11300,9**	**24 800,7**	**13 519,0**	**11 281,7**	**108,5**	**117,0**	**100**
შემოსავლები	22397,8	11096,9	11300,9	22 385,5	11 103,8	11 281,7	100	100	100
არაფინანსური აქტივების კლება	460,0	460,0		415,2	415,2		90	90	0
ვალდებულების ზრდა				2000,0	2000,0				
გადასახდელები	**24323,1**	**12343,5**	**11979,6**	**23 694,8**	**12 059,9**	**11 634,9**	**97**	**97**	**97**
ხარჯები	10842,6	10388,3	454,2	10 627,7	10 178,9	448,7	98	98	98
არაფინანსური აქტივების ზრდა	13372,7	1847,4	11525,3	12 959,3	1 773,2	11 186,2	97	96	97
ვალდებულებების კლება	107,8	107,8		107,8	107,8		100	100	0
ნაშთის ცვლილება	- 1465,2	- 786,6	-678,6	1105,9	1459,1	-353,2			

საგადასახადო შემოსავლები:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	**9240,0**	**9345,9**	**101**
ქონების გადასახადი	**920,6**	**895,5**	**97**
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	860,0	748,4	**87**
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)			
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	6,0	42,3	**705**
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	54,6	82,3	**150**
გადასახადები სულ	***10160,6***	***10241,4***	***100***

გრანტები:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლ ა	393,4	393,4	100
კაპიტალური ტრანსფერი (მათ შორის სოფლის მხარდამჭერის პროგრამა)	10907,6	10888,4	100
სულ	***11301,0***	***11281,8***	***100***

N	თანხა	გრანტის გამომყოფი	გრანტის სახე	გრანტის მიზნობრიობა	გრანტის გამოყოფის საფუძველი	
1	393,4	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად	2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი	

2	10173,6	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, გზების, წყლების, სპორტული მოედნების, სანაპიროს კეთილმოწყობა	2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი	

სხვა შემოსავლები:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შემოსავლები საკუთრებიდან	**565,0**	**496,1**	**88**
პროცენტები	147,7	95,0	64
რენტა	417,3	401,1	96
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**110,0**	**105,2**	**96**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	75,0	69,0	92
სანებართვო მოსაკრებელი	45,0	34,2	76
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვებზე	45,0	34,2	76
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი			
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი			
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	30,0	35,0	116
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**35,0**	**36,2**	**103**
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**225,1**	**207,4**	**92**
ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**36,3**	**54,0**	**148**

არაფინანსური აქტივების კლება:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	150,0	234,0	156
მატერიალური მარაგები	0	0,183	
არაწარმოებული აქტივები	310,0	181,0	58
მიწა	310,0	181,0	58
არაფინანსური აქტივების კლება	**460,0**	**415,2**	**90**

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	2538,6	2529,1	99
საქონელი და მომსახურება	2386,4	2253,4	94
პროცენტები	53,4	53,4	100
სუბსიდიები	4747,3	7707,4	162
გრანტები			
სოციალური უზრუნველყოფა	658,3	641,4	97
სხვა ხარჯები	458,5	443,0	91
ხარჯები სულ	**10843,0**	**10628,0**	**98**

არაფინანსური აქტივების ზრდა:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	13373,0	12959,3	97
არაფინანსური აქტივების ზრდა	13373,0	12959,3	97

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

პროგრამული კოდი	დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3865,3	3789,0	98
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14009,5	13551,5	97
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	997,5	997,0	100
04 00	განათლება	1799,0	1781,4	99
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2862,0	2811,0	98
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	790,3	765,3	97

ვალდებულებები:

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	107,8	107,8	100
ვალდებულებების კლება	**107,8**	**107,8**	**100**

ვალდებულებეის კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წელს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების სპეც ტექნიკა და ურნები) დაფარვას. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2021 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 592,7 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 1 იანვრისათვის 484,9 ლარს. 2023 წელს დასაფარი დავალიანება შეადგენს 139,7 ათას ლარს.

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება:

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 1 105,9 ათასი ლარის ოდენობით. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 353,2 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 2 717 690 ათასი ლარი;

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 339,414.15 ლარი, მათ შორის:

საქ. მთავრობის განკარგულება	ნაშთი
N277 15/02/2022	5332,73
N136 18/01/2018	0,30
N1305 29/07/2021	5296,87
N2101 06/10/2017	54,26
N1419 16/08/2021	305317,44
N2685 31/12/2020	5242,96
N693 06/04/2017	0,71
N1409 18/07/2016	0,39
N75 17/01/2022	7540,09
N330 11/03/2021	0,64
N554 15/03/2019	6,0
N480 14/03/2017	1,42
N2010 20/09/2019	1173,27
N2577 31/12/2018	4,13
N27 09/01/2020	0,50
N168 05/02/2021	9442,44

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ადგილობრივი ნაშთმა შეადგინა 2378,3 ლარი.

შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	პროცენტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3678,3	3608,9	98
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3624,9	3555,5	98
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის	3623,5	3555,5	98

	უზრუნველყოფა			
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	1,4	-	
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	53,4	53,4	100
7.2	**თავდაცვა**	78,8	72,1	91
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	78,8	72,1	91
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	5985,3	5916,2	99
7.4 5	ტრანსპორტი	5985,3	5916,2	99
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5985,3	5916,2	99
7.5	**გარემოს დაცვა**	997,5	996,8	100
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	997,5	996,8	100
7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	8024,2	7635,4	95
7.6 3	წყალმომარაგება	905,9	900,6	99
7.6 4	გარე განათება	601,3	598,7	99
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**	71,2	70,7	99
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	71,2	70,7	99
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	2861,7	2811,0	98
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1739,1	1725,8	99
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1059,6	1022,1	96
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	13,0	13,0	100
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50,0	50,0	100
	განათლება	1798,7	1781,4	99
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1197,2	1183,2	99
7.9 2	ზოგადი განათლება	601,5	598,2	99
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება	38,0	35,9	94
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	563,5	562,2	100
7 10	**სოციალური დაცვა**	717,9	694,6	97
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	285,0	278,9	98
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,1	-	
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	12,0	12,0	100
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	123,2	123,2	100
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	68,4	56,8	83
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	229,2	223,7	98
	სულ	**24213,6**	**23587,0**	**97**

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 23694,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის - 24323,1 ლარის 97 პროცენტია.



პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით			
პროგ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2022 ფაქტი	%
სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	23694,8	97
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3788,8	16
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13551,5	57
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	996,8	4
04 00	განათლება	1781,4	6
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2811,0	12
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	765,3	3



მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 3788,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2871,6 ლარი) 98 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 955,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 2600,2 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 72,1 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 72,1 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-30,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით ათვისებულია 29 795,7 ლარი. მათ შორის:

N	ორგანიზაციული კოდი	ბრძანების ნომერი და თარიღი	ხარჯის დანიშნულება	თანხა
1	06 02 02	ბ76.7622363001 29.12.2022	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის	1200
2	05 02 02	ბ76.76223349 30.11.2022	წარმატებული მოჭიდავეების დაჯილდოებისათვის	7500

3	02 08	ბ76.762232511 22.11.2022	სანიარვრე არხებისდა ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია	1240,63
4	01 01 01	ბ76.76222909 17.10.2022	ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის კვირეულის გამართვის ხარჯის ასანაზღაურებლად	225
5	05 02 02	ბ76.762227344 30.09.2022	თბილისობის დღესასწაულზე მონაწილეობისათვის საჭირო მუნიციპალიტეტის სტენდის ტრანსპორტირებისათვის.	500
6	02 02 02	ბ76.76222012 19.07.2022	სოფ. ნიკორწმინდაში დაზიანებული წყალსადენის მაგისტრალის შესაკეთებლად	12746,07
7	06 02 03	ბ76.76220819 22.03.2022	უპტრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	1000
8	01 01 02	ბ76.76220636 04.03.2022	უკრაინაში საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად სურსათისა და ჰიგიენური საშუალებების შემენა-ტრანსპორტირების (ქ.თბილისამდე) მიზნით	4990
9	06 02 05	ბ76.76220324 01.02.2022	სოფ. ლიხეთში ხანძრით დაზარალებული ოჯახისათვის პირველადი საკვების შესაძენად	394
		სულ		**29795,7**

ადმინისტრაციული შენობების დაცვის მომსახურებამ შეადგინა 75 000 ლარი.

1. **ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)**

საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის განვითარება სულ დაფინანსდა 13551,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (14009,5 ლარი) 97 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14009,5	13551,5	97
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5841,3	5774,1	99
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	485,0	441,5	91
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	5356,3	5332,5	100
02 02	წყლის სისტემების განვითარება	905,9	900,6	99

02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	418,4	416,2	99
02 02 01 01	წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი	91,1	90,6	99
02 02 01 02	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	327,3	325,6	99
02 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	487,4	484,4	99
02 03	გარე განათება	601,3	598,7	100
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	598,1	597,9	100
02 03 01 01	გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	429,9	429,7	100
02 03 01 02	გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა	168,3	168,3	100
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	3,2	0,8	25
02 04	სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	17,5	17,5	100
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	5212,7	4838,5	93
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	794,0	788,6	99
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია	136,4	135,2	99
02 09	რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება	356,4	356,3	100
02 10	სატრანსპორტო მომსახურება	144,1	142,1	99

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

2022 წლის განმავლობაში, ამბროლაურის ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ✓ სოფელ კაჩაეთში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ კლდისუბნის საუბნო გზების რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ ძირაგეულის სასოფლო გზების რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ სადმელში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ ნიკორწმინდის სასოფლო გზის რეაბილიტაცია, ასფალტირების სამუშაოები - პირველი რიგი;

- ✓ სოფელ ნიკორწმინდის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის მოწყობა;
- ✓ სოფელ ხოტევის სასოფლო გზის რეაბილიტაცია - პირველი რიგი;
- ✓ სოფელ სხვავის სასოფლო გზის რეაბილიტაცია - პირველი რიგი;
- ✓ სოფელ ჟოშხის სასოფლო გზის რეაბილიტაცია პირველი რიგი;
- ✓ სოფელ პირველი ტოლის სასოფლო გზის რეაბილიტაცია - პირველი რიგი;
- ✓ სოფელ წესში სასოფლო გზის რეაბილიტაცია - პირველი რიგი;
- ✓ სოფელ ჭყვიშში საუბნო გზების რეაბილიტაცია - მეორე ეტაპი;
- ✓ სოფელ იწაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია;

საბოლოო შედეგი: მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

1.2. წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიატორიაზე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ სოფელ ბაჯში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის პირველი ეტაპი;
- ✓ სოფელ გორის დასახლების თამარ მეფის ქუჩის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპი;
- ✓ სოფელ ხონჭიორში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის პირველი ეტაპი;
- ✓ სოფელ გაღმა ბარეულის წყალმომარაგების სამუშაოები პირველი ეტაპი;

საბოლოო შედეგი: მოსახლეობის უზრუნველყოფა წყლით.

1.3. ააიპ „ მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“ (პროგრამული კოდი02 02 01 02)

ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობა. საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ მოხდა 517 დაზიანების აღმოფხვრა.

2. გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა და მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულების დაფარვა.

მუნიციპალური ა(ა)იპ ახორციელებს მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ნათურებისა და ქსელის აღდგენა, შეკეთება განახლებას. 2022 წლის ბოლოსთვის სანათი წერტილების რაოდენობამ 6220 ერთეული შეადგინა.

საბოლოო შედეგი:
ღამის საათებში ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

3. კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ქალაქ ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები;
ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩის მიმდებარე სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოები;
ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 8 ერთეული წყაროს თვალის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
სოფ. ჩორჯოში ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები;

საბოლოო შედეგი: კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.

4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები: 21 სოფელში მოწესრიგდა განათება; 4 სოფელში - სპორტული ინფრასტრუქტურა; 4 სოფელში - სასაფლაოს შემოღობვა; 1 სოფელში - ამბულატორია; 8 სოფელში მოწესრიგდა საუბნო გზა; 18 სოფელში - სასმელი წყალი; 4 სოფელში მოეწყო საბავშვო სკვერი; 3 სოფელში - სანაიღვრე არხი; 3 სოფელში - ბეტონის საფარიანი გზა.

5. სანიაღვრე არხების, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებს, კერძოდ:
ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები;
ქ. ამბროლაურში ბრატისლავა - რაჭის ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის გაწმენდითი სამუშაოები;

საბოლოო შედეგი: საკანალიზაციო-სანიაღვრე სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; გზების და სხვა ინფრასტრუქტურის ესპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა.

6. რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ასევე ფინანსდება 50 000 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

საბოლოო შედეგი: შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 996,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 916,4 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 69,3 ათასი ლარით.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	997,5	996,8	100
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	917,1	916,4	100
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	69,3	69,3	100
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	11,1	11,1	100

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან განხორციელდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად იგვებოდა ქალაქის ქუჩები. განხორციელდა ქალაქისა და მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ქ. ამბროლაურის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდებოდა ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ხდებოდა შესაბამისი სპეც. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გატანა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 1781,4 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 1798,7 ათასი ლარის, 99 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი დაწესებულების ხელშეწყობაზე მიმართული იქნა 1183,2 ათასი ლარი, საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 373,6 ათასი ლარი, ა(ა)იპ ამბროლაურის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი დაფინანსდა 188,7 ათასი ლარით, განთლების ღონისძიებები 36,0 ათასი ლარით.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	1798,7	1781,4	99
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	1197,2	1183,2	99
04 03	განათლების ღონისძიებები	38,0	35,9	95
04 04	ა(ა)ი.პ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი	189,0	188,7	100

04 05	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	374,5	373,6	100

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არის 14 საბავშვო ბაღი (ჟოშხის საბავშვო ბაღი შეჩერებულია) აქედან, ამბროლაურის საბავშვო ბაგა-ბაღში არის 5 ასაკობრივი და 1 შერეული ჯგუფი, ხოლო სოფელ ჭრებალოს საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს ორი ასაკობრივი ჯგუფი, დანარჩენი საბავშვო ბაღები დაკომპლექტებულია შერეული ჯგუფებით, სადაც 2022 წლის იანვარში 334-მა აღსაზრდელმა განაახლა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, აქედან 72- მა აღსაზრდელმა დაამთავრა საბავშვო ბაღი, 2022 წლის სექტემბერში კი სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში 313 ბავშვი დარეგისტრირდა.

საბოლოო შედეგი:
სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის.

განათლების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 6 (ექვსი) სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ მოსწავლეს, გადაეცა პორტატული კომპიუტერი;
- საჯარო სკოლების ოქროსა (7 მოსწავლე) და ვერცხლის (6 მოსწავლე) მედალოსნებისთვის ფულადი ჯილდოების გადაცემა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება (12 სტუდენტი);
- საგანმანათლებლო პორტალ „izrune.ge" და პროექტ ეტალონის მომსახურების შესყიდვა;
- ამბროლაურის ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის ოპტიმიზაციის მიზნით ქართული და მსოფლიო ლიტერატურის 98 ეგზემპლარის შეძენა;

საბოლოო შედეგი: მოზარდთა ამაღლებული შემოქმედებითი - საგანმანათლებლო დონე.

ა(ა)ი.პ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 04 04)

2022 წლის მონაცემებით ცენტრში შესაბამის განათლებას იღებს საშუალოდ 80 მოსწავლე.
დაწესებულებაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:

- ✓ ზოგადი უნარების წრე;
- ✓ მათემატიკის წრე;
- ✓ ინგლისურის ენის წრე;
- ✓ გერმანული ენის წრე;
- ✓ რუსული ენის წრე;
- ✓ გახანგრძლივებული დღის ჯგუფი.

ა(ა)იპმა წარმატებით განახორციელა შემდეგი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები:

- ✓ მოაზროვნე;
- ✓ ვკითხულობთ თანამედროვე მწერლობას;
- ✓ ძველი დიდების ნაკვალევზე;

- ✓ რა სამშობლო გვქონია;
- ✓ მწიგნობარი 2022.

საბოლოო შედეგი: მოზარდთა შესაძლებლობების გამოვლენისათვის შექმნილი შესაბამისი გარემო.

საჯარო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების რეაბილიტაცია:

- ✓ ქ. ამბროლაურის N1 საჯარო სკოლის ღობის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქ. ამბროლაურის N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ ხვანჭკარის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია.

საბოლოო შედეგი: მოსწავლეთათვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 2811,0 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2861,7 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 98 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1715,1 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 1085,1 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერა -10,7 ათასი ლარი;

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2861,7	2811,0	98
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1719,1	1715,1	100
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	813,5	809,8	100
05 01 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	323,2	323,0	100
05 01 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი	211,6	210,3	99
05 01 01 03	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	116,2	116,0	100
05 01 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა	162,4	161,0	99
05 01 02	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	905,6	905,4	100
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1122,6	1085,1	97
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	858,0	842,0	98
05 02 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი	605,5	603,0	100

05 02 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	111,0	110,1	99
05 02 01 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	69,1	68,2	99
05 02 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	72,5	61,0	84
05 02 02	კულტურის ღონისძიებები.	86,8	70,7	81
05 02 05	გაზეთის მომსახურების დაფინანსება	13,0	13,0	100
05 02 06	ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი	114,8	109,4	95
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	20,0	10,7	53

სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სპორტული სკოლა, ესენია:

ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა";

სკოლაში ფუნქციონირებს 7 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, რაგბი, კარატე, ძიუდო, მაგიდის ჩოგბურთი. სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 180 მოსწავლე. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში. ერთ-ერთი წარმატებული სპორტის სახეობაა კარატე. ამ მიმართულებით მოპოვებულია 15 ოქროს, 14 ბრინჯაოს და 18 ვერცხლის მედალი, აქედან 1 ოქრო და 1 ვერცხლი ევროპის პირველობაზე. 10 მოსწავლე (სხვადასხვა ასაკი) შეყვანილია საქართველოს ნაკრებ გუნდში. წარმატებით იასპარეზეს მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდმა და შეყვანილი არიან საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ნაკრებ გუნდში. ასევე წარმატებით იასპარეზეს სკოლის მოსწავლეებმა ჭადრაკში, იმერეთის და ტყიბულის ღია პირველობაზე; ამბროლაურის სასპორტო სკოლაში ჩატარებულ საჭადრაკო ღია ფესტივალში „რაჭა 2022", 16 წლამდე გოგონათა შორის პირველია დგილი მოიპოვა სასპორტო სკოლის მოსწავლემ. სასპორტო სკოლის ერთ-ერთი მთავარი სპორტის სახეობაა კალათბურთ. 16 წლამდელთა საკალათბურთო გუნდმა მონაწილეობა მიიღო ბავშვთა ლიგაზე; სასპორტო სკოლამ ჩაატარა ტარიელ და კობა კობახიძეების სახელობის ტურნირი; საანგარიშო პერიოდში სკოლაში აქტიური ვარჯიშები მიმდინარეობდა ფრენბურთში და რაგბში; ჩოხიან ჭიდაობაში ძიუდო და სამბო ერთ ღონისძიებაში მიიღო სკოლამ მონაწილეობა - ქუთაისის საერთაშორისო ტურნირზე და საუკეთესო ხუთეულში მოხვდა 5 მოჭიდავე.

ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი";

ჭიდაობის კლუბ ფალავანში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები, ახალგაზრდები და 23 წლამდე ახალგაზრდები (8 სპორტსმენი)). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 88 ბავშვი. კლუბის აღსაზრდელები წარმატებით მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგონალურ და საერთაშორისო ტურნირებში.

- ✓ საქართველოს დიდების პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 74 კგ. კატეგორიაში პირველი ადგილო მოიპოვა კლუბის მოჭიდავემ;
- ✓ საქართველოს 23 წლამდე ახალგაზრდების პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 70 კგ. კატეგორიაში ჭიდაობის კლუბი „ფალავანის“ მოჭიდავემ მოიპოვა;
- ✓ საქართველოს უმცროსი ასაკის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 70 კგ. კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა კლუბ „ფალავანის“ მოჭიდავემ;
- ✓ „ზაურ შეყრილაძის და მურად დოხტურაშვილის“ სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე 48 კგ. კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა „ფალავანის“ მოჭიდავემ;
- ✓ „ნუგზარ სხიერელის“ სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე 2003-2005 წლებში დაბადებულთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში 74 კგ. კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა „ფალავანის“ მოჭიდავემ;
- ✓ „გიორგი ბოგდოვანის“ სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში 32 კგ; 35 კგ; 42 კგ; 45 კგ; 62 კგ კატეგორიებში პირველი ადგილები დაიკავეს „ფალავანის“ მოჭიდავეებმა;
- ✓ „გურამ საღარაძის“ სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში 35 კგ; 38 კგ. და 57 კგ. კატეგორიებში პირველი ადგილები მოიპოვეს „ფალავანის“ მოჭიდავეებმა;
- ✓ „ვახტანგ კვინიკაძის“ სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე 48 კგ. კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა კლუბ „ფალავანის“ მოჭიდავემ;
- ✓ ევროპის 23 წლამდე ახალგაზრდების პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 74 კგ. კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა კლუბ „ფალავანის“ მოჭიდავემ;
- ✓ 15 წლამდე ჭაბუკთა შორის ევროპის პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში 75 კგ. კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა კლუბ „ფალავანის“ მოჭიდავემ;
- ✓ საქართველოს თავისუფალი სტილით 23 წლამდე მოჭიდავეთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე 2 ოქროს და ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედლები მოიპოვა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“;

საცურაო აუზმა წლის განმავლობაში მომსახურება გაუწია 215 აბონენტს; 70 ერთჯერადად შემომსვლელს და 160 ღია აუზით მოსარგებლეს. აუზით მოსარგებლეებს ჩაუტარდათ კანის გადამდებ დაავადებებისა და სხეულის ჰიგიენის სავალდებულო შემოწმება - დათვალიერება.

ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა“

კლუბ "რაჭაში" ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 5 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბ "რაჭაში" ვარჯიშობს 110 ბავშვი. კლუბი ჩართული იყო იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში, ორი ასაკობრივი გუნდით (2007 და 2008 წლებში დაბადებული მოსწავლეები), 2007 წელს დაბადებული მოზარდები 14 გუნდიან ჩემპიონატში პირველი წრის ბოლოს მოხვდნენ საუკეთესო ზედა ექვსეულში, ხოლო საუკეთესო ექვსეულში მე-3 ადგილით დაასრულეს ჩემპიონატი.

კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 5 ა(ა)იპ, ესენია:

- **ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“;**

ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“ ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთა თეატრი, 7 - სოფლის კლუბი; 29 სოფლის ბიბლიოთეკა, 1 საბავშვო ბიბლიოთეკა ქ. ამბროლაურში და 1 ცენტრალური ბიბლიოთეკა ქ. ამბროლაურში; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“.

- **ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“;**

ხელოვნების სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო (13 მოსწავლე), ხალხური საკრავების (21 მოსწავლე); გიტარის (14 მოსწავლე); საესტრადო ვოკალის (29 მოსწავლე); ქართული ხალხური სიმღერების (18 მოსწავლე), ქართული ცეკვები ჯგუფი „რაშოვდა“ (20 მოსწავლე); ქართული ხალხური და თანამედროვე ცეკვები (142 მოსწავლე); სკოლაში სახელოვნებო-სამუსიკო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 257 ბავშვი.

- **ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“;**

სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების (ხატვა, ფერწერა, გრაფიკა, კომპოზიცია. სულ 28 მოსწავლე) და გამოყენებითი ხელოვნების (ტიხრული მინანქარი - 7 მოსწავლე; ხალიჩა-ფარდაგი - 10 მოსწავლე; თექა,ჭრა-კერვა - 8 მოსწავლე; ხატწერა -10 მოსწავლე) დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 63 მოსწავლე.

- **ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;**

მუნიციპალურ მუზეუმში განთავსებულია 868 ექსპონატი; 602 - სახვითი ხელოვნების მუზეუმში; 266 - აბარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. საანგარიშო წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობამ საშუალოდ შეადგინა 500 ვიზიტორი.

- **(ა)იპ ტურისტული ცენტრი;**

ცენტრმა უზრუნველყო საინფორმაციო ბაზის შექმნა, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, ტურისტული ლოკაციების, კვების და სხვა ობიექტების შესახებ. ცენტრი ახორციელებს ბაზის მუდმივ განახლებას. ტურისტული ცენტრი“ შემოსულ ვიზიტორებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციით. საანაგრიშო პერიოდში მოხდა ბილიკების მონიტორინგი: მარკირების, ნიშნულებისა და საინფორმაციო დაფების აღრიცხვა; დაიბეჭდა და დამონტაჟდა დაზიანებული ნიშნულები; მოხდა ბილიკების ხელახალი აზომვა-განახლება ტურისტებისათვის უსაფრთხოებისა და მათთვის თვალსაჩინოების შექმნის მიზნით; გაიწმინდა არსებული ბილიკები.

ტურისტულმა ცენტრმა 2022 წლის განმავლობაში უმასპინძლა 1808 ვიზიტორს.

კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს სახელმწიფო დროშის დღის აღსანიშნავი აქციის ორგანიზება;

- 26 მაისის ღონისძიების სპორტულ კომპონენტში (ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, 3*3 კალათბურთი) წარმატებული პირებისთვის გადასაცემად სასაჩუქრე ვაუჩერების და ფასიანი საჩუქრების შეძენა;
- ანსამბლ „თარიკონის“ საიუბილეო საღამოს ორგანიზება და სახელობითი ვარსკვლავის გახსნა;
- მომღერალ ოთარ ნემსაძის კონცერტის ორგანიზება;
- თავისუფალი სტილით ჭიდაობის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის (15 და 23 წლამდელთა შორის) ოქროს მედალოსნების მოტივირება-წახალისებისთვის ფულადი ჯილდოების გაცემა;
- „კუდოში“ საქართველოს თასის ღონისძიების თანაორგანიზება;
- მესტიის თეატრის გასტროლის ორგანიზება;
- ვეტერანების დღის (17 ოქტომბერი) აღნიშვნის ორგანიზება;
- ველო მარათონის (მოყვარულთა ველო შეჯიბრი - 58 საერთაშორისო მონაწილე) გამართვის ხელშეწყობა;

ახალგაზრდობის მხარდჭერა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამა ითვალისწინებდა ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, ორიენტირებული იყო მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებას, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქ. ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობაზე; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა. ტრანსპორტირება განხორციელდა სამ ძირითად მარშრუტზე სასწავლო პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 765,3 ათასი ლარით (97%), გეგმა 790,3 ათასი, ფაქტი 765,3 ათასი ლარი. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებას მოხმარდა 349,5 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 415,7 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	790,3	765,3	97
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	356,2	349,5	98
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	71,2	70,6	99
06 01 03	ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	30,0	29,1	97

06 01 04	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსება	153,0	152,0	99
06 01 06	ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	25,0	24,0	96
06 01 07	ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება	77,0	73,7	96
06 02	სოციალური დაცვა	434,1	415,7	96
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომოდ სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა	45,4	40,1	88
06 02 02	ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური დახმარება	40,8	40,2	98
06 02 03	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	1,5	1,5	100
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ფინანსური დახმარება	107,9	107,8	100
06 02 05	ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება;	48,4	40,4	83
06 02 06	მრავალშვილიან (სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება	53,9	53,6	99
06 02 07	მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	12,0	12,0	100
06 02 08	უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა	20,0	16,4	82
06 02 09	მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	1,1	0,9	82
06 02 10	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ფინანსური დახმარება	20,4	20,2	99
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ფინანსური დახმარება	54,0	54,0	100
06 02 12	100 წლისა და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება.	0,1	0	0
06 02 13	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	28,5	28,5	100

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიხედვით განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამის ობიექტებზე ეპიდზედამხედველობა;

მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მოქალაქეთა სამედიცინო და მედიკამენტური მკურნალობა.

N	პროგრამის დასახელება	ბენეფიციარი
1	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსება	154
2	ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება	129
3	ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	49
4	ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	122
	სულ	**454**

სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

N	პროგრამის დასახელება	ბენეფიციარი
1	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და საღდგომოდ სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა	39/147
2	ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური დახმარება	75
3	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	2
4	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ფინანსური დახმარება	17/54/21
5	ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება;	4
6	მრავალშვილიან (სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური	132

	დახმარება	
7	მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	38
8	უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა	9
9	მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	3
10	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ფინანსური დახმარება	101
11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ფინანსური დახმარება	216
12	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	57
	ს უ ლ	**915**